



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

24 ივლისი 2024



N 382/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქსანში სს „მინას“ მინისა და მინის პროდუქციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (დღე-ღამეში 250 ტონიდან 320 ტონამდე წარმადობის გაზრდა) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „მინას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქსანში არსებული მინისა და მინის პროდუქციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (დღე-ღამეში 250 ტონიდან 320 ტონამდე წარმადობის გაზრდა) სკრინინგის განცხადება.

2014 წლის პირველ მაისს სს „მინას“ მინისა და მინის პროდუქციის წარმოებაზე (ქსნის მინის ტარის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) გაცემულია №21 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, ხოლო 2020 წლის 7 დეკემბერს, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1134). ამასთან, 2023 წლის 27 თებერვალს აღნიშნული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (არსებული ღუმელის ნაცვლად ახალი ღუმელის მოწყობა და კაზმის საამქროს რეკონსტრუქცია) გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №97/ს), რომლის თანახმად დაგეგმილი ცვლილებები არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმო მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქსანში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 72.10.05.036; 72.10.05.229; 72.10.05.160; ჯამური ფართობი: 140 619 მ²). საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 80 მეტრით. საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ ფუნქციონირებს სხვადასხვა პროფილის სამრეწველო ობიექტები, მათ შორის, საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 55 მეტრში განთავსებულია ი/მ ბეჟანი ხიზანიშვილის ბეტონის რგოლების საწარმო, 72 მეტრში – შპს „ბრიქ ჯორჯიას“ ბეტონის ნაკეთობათა საწარმო, 110 მეტრში – შპს „ქართული სოკოს“ საწარმო, 170 მეტრში – შპს „ბიჯი ჯგუფის“ ბეტონის ნაკეთობათა საწარმო, 200 მეტრში – შპს „ლაიონ დეველოპმენტის“ სამშენებლო მასალების საწარმო, ხოლო 220 მეტრში – შპს „გრინ სთოუნის“ ინერტული მასალის გადამამუშავებელი ობიექტი. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ქსანი, მიედინება საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 260 მეტრში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში ფუნქციონირებს ორი ერთეული მინის სახარში ღუმელი, რომელთაგან ე.წ. B ღუმელის სიმძლავრე შეადგენს დღე-ღამეში 150 ტონას, ხოლო ე.წ. C ღუმელის სიმძლავრე – დღე-ღამეში 100 ტონას. ტექნოლოგიურ პროცესში ნედლეულად გამოიყენება:

კვარცის ქვიშა, კალციირებული სოდა, კირქვა, ნატრიუმის სულფატი, ქრომიტი, ალუმინის ოქსიდი, ნახშირი, მინის ლეწი და ასევე, კობალტის, სელენის ან რკინის შემცველი კომპონენტები. ტექნოლოგიური ციკლი იწყება საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეულის შეტანითა და დასაწყობებით, რის შემდგომაც ხდება ნედლეულის აწონა და კაზმის მომზადება. მომზადებული კაზმი იყრება მინის სახარშ ღუმელში, სადაც ასევე იტვირთება მინის ლეწი. ღუმელში მინის ხარშვა მიმდინარეობს 1500-1550°C ტემპერატურაზე. სახარში ღუმელიდან გამოსული მინის მასა გადადის სპეციალურ გამოსაწვავ და საწრთობ ღუმელებში – ფიდერებში და შემდგომ მიეწოდება დამყალიბებელ მანქანებს, სადაც ხორციელდება მინის მასის სხვადასხვა ფორმის ბოთლებად დაყალიბება. ფორმირებული მინის ბოთლები გადის ცხელი დაფარვის, გამოწვის, გაცივებისა და ცივი დაფარვის ეტაპებს. აღნიშნულის შემდგომ ხდება პროდუქციის პოლიეთილენის ფირით შეფუთვა და სარეალიზაციოდ მომზადება. საწარმო მუშაობს წელიწადში 365 დღე, 24-საათიანი სამუშაო გრაფიკით და უზრუნველყოფს საშუალოდ 91 250 ტონა სხვადასხვა სახის მინის პროდუქციის (ბოთლები, ქილები) დამზადებას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, დაგეგმილია საწარმოში წარმოებული პროდუქციის 91 250 ტონიდან 116 800 ტონამდე გაზრდა, რისთვისაც არსებული დღე-ღამეში 100 ტონა წარმადობის ე.წ C სახარში ღუმელი ჩანაცვლდება დღე-ღამეში 150 ტონა სიმძლავრის ენერგოეფექტური ღუმელით, ხოლო არსებული და საპროექტო სახარში ღუმელები იმუშავებს მაქსიმალური სიმძლავრით (ჯამურად 320 ტონა/დღე-ღამე). აღსანიშნავია, რომ როგორც არსებული ისე საპროექტო სახარში ღუმელების სიმძლავრის მაჩვენებელი (თითოეული 150 ტონა/დღე-ღამე) წარმოადგენს საპროექტო (ნომინალურ) წარმადობას, თუმცა, მაქსიმალური სიმძლავრის პირობებში, მოხმარებული საწვავის რაოდენობის ცვლილების გარეშე, თითოეულ ღუმელს შეუძლია იფუნქციონიროს დღე-ღამეში 160 ტონა სიმძლავრით. გარდა ამისა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ასევე გათვალისწინებულია ბუნებრივ აირზე მომუშავე ღარების გამოწვის ღუმელის მონტაჟი, რომელიც არ იქნება დაკავშირებული ძირითად ტექნოლოგიურ პროცესთან ან/და მის ცვლილებასთან და იფუნქციონირებს პერიოდულად, საჭიროებიდან გამომდინარე, წელიწადში დაახლოებით 250 საათი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწარმოს წარმადობის გაზრდა დაკავშირებული იქნება სხვადასხვა ცვლილებებთან, მათ შორის, მოხმარებული ზოგიერთი ნედლეულისა და ბუნებრივი აირის გაზრდასთან. ტექნოლოგიურ პროცესში წლის განმავლობაში გაზრდილი რაოდენობით გამოყენებული იქნება შემდეგი ნედლეული: კვარცის ქვიშა – 61 800 ტონა, კალციირებული სოდა – 17 700 ტონა, კირქვა – 19 500 ტონა, ნატრიუმის სულფატი – 540 ტონა, ქრომიტი – 7,5 ტონა, ნახშირი – 45 ტონა, რკინა – 42 ტონა, კობალტი – 0,3 ტონა და ლეწი – 35 000 ტონა. ამასთან, ვინაიდან, საწარმოში არსებული სხვადასხვა ტექნოლოგიური დანადგარები ფუნქციონირებს ბუნებრივ აირზე და დამატებით გათვალისწინებულია ღარების გამოწვის ღუმელის მონტაჟი, საწარმოში წლიურად მოხმარებული ბუნებრივი აირის რაოდენობა ნაცვლად 19 146 800 მ³-ისა, იქნება 20 908 800 მ³.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში არსებული ქვაბ-უტილიზატორის საშუალებით, ხორციელდება საყოფაცხოვრებო დანიშნულების (სააბაზანოები, ხელსაბანები) წყლის გაცხელება მინის სახარში ღუმელებიდან გამომავალი ცხელი აირჰაერმტვერნარევის ნაკადის ხარჯზე. აღნიშნული მიზნით გამოიყენებოდა მხოლოდ ე.წ C ღუმელიდან გამომავალი აირის ნაკადი (მილში გაფრქვევამდე), ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ე.წ. B ღუმელიდან გამომავალი აირჰაერმტვერნარევის ნაკადის ნაწილი (50-70%). ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო ღუმელის მონტაჟის შემდგომ, აირჰაერმტვერნარევის ნაკადის ნაწილის (50-70%) მიმართვა შესაძლებელი გახდება ორივე მიმართულებით, როგორც ე.წ. B ღუმელიდან ქვაბ-უტილიზატორის გავლით, ე.წ C ღუმელზე, ისე პირიქით. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, საწარმოს ტერიტორიად განხილული იყო ერთი მიწის ნაკვეთი (ს/კ: 72.10.05.036; ფართობი: 135

000 მ²), ხოლო წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით საწარმოს ტერიტორიას დაემატა ორი მომიჯნავე მიწის ნაკვეთი (ს/კ: 72.10.05.229 და 72.10.05.160; ჯამური ფართობი: 5 619 მ²).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოში წყალი გამოიყენება როგორც სასმელ-სამეურნეო, ისე ტექნიკური დანიშნულებით, რისთვისაც წლის განმავლობაში გამოიყენება ჯამურად 98 550 მ³ წყალი. სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში დაგეგმილი ცვლილებები არ არის დაკავშირებული წყალმომარების ცვლილებასთან, ხოლო ჩამდინარე წყლების მართვა ხორციელდება 2024 წლის 9 თებერვალს სააგენტოსთან შეთანხმებული ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები განხორციელდება არსებული შენობების შიგნით და გაგრძელდება დაახლოებით 2-3 თვის განმავლობაში. შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. რაც შეეხება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპს, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ადგილი აქვს მავნე ნივთიერებების, კერძოდ, არაორგანული მტვრის, აზოტის დიოქსიდის, აზოტის (II) ოქსიდის, ნახშირბადის ოქსიდის, გოგირდის დიოქსიდის, ქვარტლის, ნახშირწყალბადების, გოგირდწყალბადის, მეთანის, ეთილმერკაპტანის, ტყვიის, კადმიუმის ოქსიდის, დარიშხანის, ქრომის, სელენის, ნიკელის, კალის ქლორიდის, ამიაკის, მანგანუმისა და მისი ნაერთების, აგრეთვე რკინის ოქსიდისა და ზეთის ორთქლის წარმოქმნას და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ასევე, აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. გაბნევის ანგარიშში ფონურ მაჩვენებლად გათვალისწინებულია მიმდებარედ არსებული სამრეწველო ობიექტებიდან მოსალოდნელი გაფრქვევები. მიღებული შედეგების თანახმად, საწარმოს ფუნქციონირების ეტაპზე, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია, როგორც უახლოეს მოსახლესთან (დაახლოებით 80 მეტრი), ისე 500-მეტრიანი რადიუსის საზღვარზე, არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოში ხმაურის წარმოქმნის ძირითად წყაროს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. გზშ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენდა 28 დბა-ს. ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ე.წ C ღუმელი განთავსებული იქნება დახურულ შენობაში, ხოლო ღარების გამოწვის ღუმელი, იმუშავებს წლიურად არაუმეტეს 250 საათის განმავლობაში, დაგეგმილი ცვლილება არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ზრდასთან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტზე წარმოიქმნება როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენები, რომლებიც გროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში, სპეციალურად გამოყოფილ და იზოლირებულ ტერიტორიებზე. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების ფარგლებში, საწარმოს ფუნქციონირების ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების რაოდენობა გაიზრდება უმნიშვნელოდ. დოკუმენტის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, კომპანია უზრუნველყოფს ნარჩენების მართვის განახლებული გეგმის შემუშავებას და სამინისტროსთან შეთანხმებას.

როგორც უკვე აღინიშნა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია საწარმოს წარმადობის გაზრდა, რაც დაკავშირებული იქნება სატრანსპორტო ნაკადების უმნიშვნელო ზრდასთან. დოკუმენტის თანახმად, ცენტრალური ავტომაგისტრალიდან საწარმომდე მიდის ასფალტირებული გზა, ხოლო ქარხნის ტერიტორია მჭიდროდ დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 300 მეტრზე მეტი მანძილით. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საწარმოში ნედლეულის, სამშენებლო და სხვა მასალების მიღება ხორციელდება მხოლოდ დღის საათებში, ხოლო ამტვერებადი ნედლეულის შემოტანა და ჩამოცლა წარმოებს უშუალოდ კაზმის საამქროში. შესაბამისად, საწარმოს ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადებაში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება განხილულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელების კუთხით. როგორც უკვე აღინიშნა, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას, გაბნევის ანგარიშში შესრულდა საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში და ფონურ მაჩვენებლად გათვალისწინებული იქნა მიმდებარედ არსებული საწარმოებიდან მოსალოდნელი გაფრქვევები. რაც შეეხება ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებას, აღსანიშნავია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო ღუმელი დამონტაჟდება დახურულ შენობაში, ხოლო ღარების გამოწვის ღუმელი, წლიურად იმუშავებს არაუმეტეს 250 საათის გამავლობაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საწარმო შემოღობილია ბეტონის ფილების კონსტრუქციით აგებული ღობით, რომელიც წარმოადგენს ხმაურის შემაკავებელ ბარიერს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოსა და მიმდებარედ არსებული ობიექტების ერთობლივი ფუნქციონირება არაა დაკავშირებული კუმულაციური ზემოქმედების რისკების ზრდასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმო არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტი განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სამეწარმოდ ათვისებულ ტერიტორიაზე, რომელიც თავისუფალია მცენარეული საფარისაგან. საწარმოს სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ზრდასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქსანში სს „მინას“ მინისა და მინის პროდუქციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (დღე-

დამეში 250 ტონიდან 320 ტონამდე წარმადობის გაზრდა) არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

- სს „მინა“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2020 წლის 7 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1134) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
- სს „მინა“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე, უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შესრულება;
- სს „მინა“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, უზრუნველყოს განახლებული ნარჩენების მართვის გეგმის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმება, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
- სს „მინასთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2020 წლის 7 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1134) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
- ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „მინას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
- ბრძანება ძალაში შევიდეს სს „მინას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
- ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



